პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად / ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები

კოლეჯი არსი

2026 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს „არსში“ /კოლეჯი/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში დისტანციური და ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ორგანიზების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესსა და პირობებს; მისი ეფექტიანობისათვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

1.2.დისტანციური/ ნაწილობრივ დისტანციური სწავლება გულისხმობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის უწყვეტ, ხელმისაწვდომ და ეფექტიან წარმართვას.

1.3.დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს:

- სინქრონული ფორმით;
- ასინქრონული ფორმით;
- შერეული (ჰიბრიდული) მოდელით.

1.4.სინქრონული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესში მონაწილეთა ერთდროულ კომუნიკაციას რეალურ დროში, ხოლო ასინქრონული სწავლება — სასწავლო რესურსებისა და დავალებების გამოყენებას სხვადასხვა დროს.

1.5.ნაწილობრივ დისტანციური (ჰიბრიდული) სწავლება აერთიანებს ონლაინ და საკონტაქტო სწავლების ფორმებს.

1.6.პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დისტანციური ან ნაწილობრივ დისტანციური სწავლების გამოყენების შესაძლებლობა განისაზღვრება შესაბამისი პროგრამითა და მოქმედი კანონმდებლობით.

1.7.კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირებას დისტანციური სწავლების პლატფორმების, ტექნიკური მოთხოვნებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების წესების შესახებ.

1.8.სასწავლო პროცესის დაწყებამდე სტუდენტებს/მსმენელებს მიეწოდებათ ინფორმაცია:

- გამოყენებული ელექტრონული პლატფორმების შესახებ;
- სასწავლო მასალებზე წვდომის წესების შესახებ;
- ონლაინ კომუნიკაციისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;
- აუცილებელი ტექნიკური რესურსების შესახებ.

1.9.კოლეჯი უზრუნველყოფს დისტანციური / ნაწილობრივ დისტანნციური სწავლების პროცესში გამოყენებული ელექტრონული სისტემებისა და პლატფორმების უსაფრთხო გამოყენებას, მათ შორის:

- დაცული ბმულებისა და პაროლების გამოყენებას;
- მონაწილეთა იდენტიფიკაციას;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების დაცვას.

მუხლი 2. დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ორგანიზება და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პროგრამის ის კომპონენტები, რომელთა დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად სწავლება და/ან შეფასება შესაძლებელია, განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და/ან დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

2.2.კონკრეტული პროგრამის ან სასწავლო კომპონენტის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

2.3.დისტანციური სწავლებისას ერთი საკონტაქტო საათის ხანგრძლივობა შეადგენს 50 წუთს.

2.4.ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სრულად დისტანციური ფორმით განხორციელება დაუშვებელია, თუ პროგრამის სპეციფიკა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

2.5.დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასებების ჩატარება დისტანციური ფორმით;

2.6.დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობის ხელშეწყობას მათი ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2.7.სტუდენტებს/მსმენელებს ხელმისაწვდომი უნდა ჰქონდეთ:

- სასწავლო მასალები; ელექტრონული რესურსები; კონსულტაციები; საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინსტრუქციები.

2.8.პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

- გამოიყენოს დაწესებულების მიერ განსაზღვრული პლატფორმა; სტუდენტებს დროულად მიაწოდოს სასწავლო მასალები; აწარმოოს სასწავლო აქტივობების აღრიცხვა.

2.9.დისტანციური სწავლებისთვის საჭირო დამატებითი რესურსების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

2.10.დაწესებულება უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამისი მექანიზმები, რათა სტუდენტი/მსმენელი არ დარჩეს სასწავლო პროცესის მიღმა ტექნიკური ან სხვა მიზეზით.

2.11.დისტანციური სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

2.12.სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დამატებითი აქტივობები (ტრენინგები, შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ ფორმატშიც.

2.13.დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების მიერ განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმა/პლატფორმები.

2.14.კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შესაბამისი ინსტრუქციებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიწოდებას.

2.15.სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს ონლაინ მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგს.

2.16.ხშირი გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაადგინოს მიზეზები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერა.

2.17.სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია სასწავლო პროცესში ჩაერთოს დადგენილი განრიგის შესაბამისად.

2.18.ონლაინ სივრცეში შესვლისას სტუდენტის/მსმენელის იდენტიფიკაცია უნდა განხორციელდეს სახელისა და გვარის მითითებით.

2.19.სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩართოს ვიდეო ან აუდიო მოწყობილობა.

2.20.პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესს წარმართავს დამტკიცებული სასწავლო გეგმისა და განრიგის შესაბამისად.

2.21.მასწავლებელი ვალდებულია სტუდენტებს/მსმენელებს დროულად მიაწოდოს ონლაინ ჩართვის ბმული და სასწავლო მასალა.

2.22.ონლაინ სწავლების განხორციელებისას მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაო გარემო.

2.23.მასწავლებელი უფლებამოსილია სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მიზნით მოითხოვოს ვიდეო/აუდიოს გამოყენება.

2.25.საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ ლექციის ჩანაწერი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო და მონიტორინგის მიზნებისთვის.

2.25.პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგს.

2.26.სწავლება უნდა განხორციელდეს პროგრამისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად.

2.27.კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური პერიოდულად ატარებს სტუდენტებისა/მსმენელებისა და მასწავლებლების გამოკითხვას.

2.28.სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებულ კვლევებში და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება

3.1.იმ კომპონენტების სწავლება, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელია დისტანციური ფორმით, ხორციელდება საკონტაქტო რეჟიმში.

3.2.დისტანციური სწავლების ფარგლებში შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს:

- ონლაინ ტესტირების;
- ელექტრონული დავალებების;
- პრეზენტაციის;

- პორტფოლიოს;
- ვიდეოჩანაწერის;
- სხვა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით.

3.3.შეფასების მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

3.4.დისტანციური შეფასების შემთხვევაში სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას შეფასების პროცესთან დაკავშირებული ინსტრუქციები.

3.5.პრაქტიკული დავალებების შეფასება შესაძლებელია ვიდეოჩანაწერის, ონლაინ პრეზენტაციის ან ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენებით.

3.6.სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დადგენილ ვადებში ატვირთოს შესაბამისი მასალა დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ სისტემაში.

3.7.დისტანციური შეფასების შედეგების გასაჩივრება ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად.

3.8.შეფასების შედეგები სტუდენტს/მსმენელს ეცნობება ინდივიდუალურად, პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

4.1.დისტანციური და ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური.

4.2.მონიტორინგი მოიცავს:

- სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასებას; სტუდენტთა ჩართულობის ანალიზს;
- სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის შეფასებას; სასწავლო პროცესის ეფექტიანობის განსაზღვრას.

4.3.ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ტარდება სტუდენტთა/მსმენელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა.

4.4.სწავლების პროცესის ანალიზი ტარდება პერიოდულად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

4.5.ანალიზის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი რეკომენდაციების, ცვლილებებისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა.

4.6.საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის შეიძლება ორგანიზდეს ტრენინგები და კონსულტაციები.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1.დისტანციური სწავლების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ სასწავლო პროცესის ორგანიზების მიზნით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

5.2.ონლაინ ლექციების ჩანაწერები და სხვა ელექტრონული მასალა შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, რის გამოყენებაც დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი მიზნებისთვის.

5.3.დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი სასწავლო მასალა გამოიყენება მხოლოდ დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

5.4.დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ვიდეოჩანაწერები ინახება პროფესიული პროგრამის დასრულებამდე, ხოლო შემდგომ ექვემდებარება წაშლას/განადგურებას.

მუხლი 6. ეტიკეტის ნორმები

6.1.დისტანციური სწავლების პროცესში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან ონლაინ კომუნიკაციის ეთიკური ნორმები და პროფესიული ურთიერთობის სტანდარტები.

6.2.სასწავლო პროცესში მონაწილე პირებმა:

- დროულად უნდა ჩაერთონ ონლაინ მეცადინეობებში;
- დაიცვან კომუნიკაციის კულტურა;
- თავი შეიკავონ შეურაცხმყოფელი ან შეუსაბამო ქცევისგან;
- გამოიყენონ სასწავლო პროცესისთვის შესაბამისი გარემო.

6.3.დაუშვებელია:

- მესამე პირის პერსონალური ინფორმაციის გავრცელება;
- შეურაცხმყოფელი კომუნიკაცია;
- სასწავლო პროცესისთვის შეუსაბამო მასალის გაზიარება.

6.4.წესების დარღვევა განიხილება დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1.წინამდებარე წესს ამტკიცებს შპს „არსის“ დირექტორი.

7.2.წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.

7.3.წესი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე

შპს „არსის“ დირექტორი

ნათია ნოზაძე